ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3804357

ნომერი: AR1571091

თარიღი : 22.01.2018

გაცემის თარიღი : 02.02.2018

გაცნობის თარიღი : 02.02.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , რაფაელ აგლაძის ქუჩა N47 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ოთარ იაგორაშვილი პ/ნ 01017001188
- თბილისი დ.ჭონქაძის ქ. N 19/9

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- სავაჭრო ობიექტები
  - მაღაზია

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვისგაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის#14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის

“თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 22 იანვრის AR1571091 განცხადება, რომელშიც ითხოვთ N01.13.05.003.142 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მაღაზიის განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას, გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი საპროექტო ტერიტორია მოქცეულია არეალში, რომელზეც სამსახურის მიერ 2015 წლის 11 მარტის №1750331 ბრძანებით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები და შეთანხმდა არქიტექტურული პროექტი, იმ შემთხვევაში თუ ზემოხსენებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების საფუძველზე მშენებლობა ნაწარმოები არ არის და მომავალშიც არ იგეგმება, უნდა მოითხოვოთ 2015 წლის 11 მარტის №1750331 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება შეცვლილი საკადასტრო მონაცემების დაფისირებით ან თავდაპირველად უნდა განახორციელოთ შეთანხმებული დოკუმენტაციის გაუქმება, რის შემდეგაც შესაძლებელი იქნება მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენაზე მსჯელობა. როგორც ცვლილების ასევე დოკუმენტაციის ძალადაკარგულად გამოცხადებაზე წარმოდგენილი უნდა იყოს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მოქმედების არეალში შემავალი ყველა მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობა. იმ შემთხვევაში თუ გაცემული დოკუმენტაციის საფუძველზე მშენებლობა ნაწარმოებია და ობიექტი არ არის ექსპლუატაციაში მიღებული ასევე უნდა მოითხოვოთ გამოყენების პირობებში ცვლილება, ხოლო თუ ობიექტი მიღებულია ექსპლუატაციაში წარმოდგენილი უნდა იყოს ექსპლუატაციაში მიღების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რაც ასევე ასახული უნდა იყოს ამონაწერში საჯარო რეესტრიდან. საკითხის განსახილველად დამატებით უნდა წარმოადგინოთ მიწის ნაკვეთის გენგეგმა სადემონტაჟო და საპროექტო ობიექტების ჩვენებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია. დოკუმენტაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 30 სამუშაო დღე. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი თქვენი 2018 წლის 22 იანვრის AR1571091 განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.